ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2157226

ნომერი: AR1335720

თარიღი : 18.08.2015

გაცემის თარიღი : 25.08.2015

გაცნობის თარიღი : 25.08.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი II , ი. პეტრიწის და დ. თავდადებულის ქუჩებს შორის, (ნაკვეთი N6/72) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შორენა ბერიანიძე პ/ნ 01024023449
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 16

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1335720 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: #01.10.06.006.072) გამიჯვნასა და შემდგომ სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
მოცემულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.06.006.072) არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულია განაშენიანების რეგულიების გეგმის გეგმარებითი დავალება #490 (05.06.2008წ.) და შეთანხმებულია პროექტი #01/1071 (07.08.2009წ.) ბრძანებით, შესაბამისად თქვენი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება უნდა მოხდეს შეთანხმებული განაშენიანების რეგულიების გეგმის პროექტის შესაბამისად. აქედან გამომდინარე მოცემული ტერიტორიის დანაწევრება არიქტექტურის სამსახურს არ მიაჩნია მიზაშეწონილად.
ზემოაღნიშნულ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტში (გრგ) რაიმე სახის ცვლილების განხორციელება, საჭიროებს შესაბამისი კორექტირების შეტანას. შესაბამისად, აღნიშნულის განხორციელების მიზნით, შეგიძლიათ ელექტრონული განცხადება ატვირთოთ ჩვენი სამსახურის ვებ გვერდზე – http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურაში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შემდეგ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება.

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.